

თარგმანი შვედურიდან

[ლოგო:|მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა ხარისხის ეროვნული რეესტრი

საინფორმაციო წერილი

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა ხარისხის ეროვნული რეესტრი EMQ

მოსწავლეებს და მათ მეურვეებს

შემოგვიერთდით და დაგვეხმარეთ გაუმჯობესების ღონისძიებებში!

სკოლის კანონის თანახმად, მოსწავლეთა ჯანმრთელობის სამედიცინო ღონისძიებები, რასაც ადრე სკოლის სამედიცინო მომსახურება ერქვა, მოსწავლეებს სკოლაში ყოფნის დროს სთავაზობს ჯანმრთელობის დაცვის და დაავადებათა საპროფილაქტიკო ღონისძიებებს. მოსწავლეთა ჯანმრთელობის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით არსებობს ხარისხის ეროვნული რეესტრი, ანუ EMQ. რეესტრი იქმნება და ვითარდება ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ასევე, სკოლის ექთნებისა და სკოლის ექიმების მიერ შეტანილის მონაცემების საფუძველზე. ხარისხის რეესტრის არსებობის მიზანია, რომ შესაძლებელი გახადოს მოსწავლეთა ჯანმრთელობის თანმიმდევრული გაუმჯობესების ღონისძიებები, მოსწავლეების თანაბარი მომსახურება, კვლევის წარმოება.

ჯანმრთელობის გამოკვლევების, ასევე, ჯანმრთელობის შესახებ გასაუბრებების შედეგად მოპოვებული მონაცემები შეჯამებული სახით გროვდება ხარისხის რეესტრში. მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ნახვა ამ რეესტრში შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ცალკეული მოსწავლის იდენტიფიკაცია არ ხდება. თუ გსურთ, რომ დაწვრილებით იცოდეთ, ჯანმრთელობის რა მონაცემები ინახება მონიტორინგის მიზნით ხარისხის რეესტრში, შეგიძლიათ ნახოთ ვებგვერდზე: www.emq.nu. მოსწავლის პირადი ნომერი ინახება კვლევითი მიზნებისთვის, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ამ მოსწავლის უფლებების გათვალისწინებით და, ამავე დროს, კვლევისთვის. კვლევისთვის საჭიროა ეთიკური შეფასების საბჭოს ნებართვა.

მონაცემები დაახლოებით 100 000 მოსწავლის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა ცოდნისთვის და განვითარებისთვის!

თქვენი უფლებები

- ხარისხის რეესტრში მონაცემთა შეტანა ნებაყოფლობითია და გავლენას არ მოახდენს იმ მომსახურებაზე, რასაც სკოლის ექთანს ან სკოლის ექიმი გთავაზობთ
- მონაცემები დაცულია შვედური კანონით და მათი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო მომსახურების განვითარებისთვის და კვლევისთვის
- ხარისხის რეესტრზე წვდომა აქვს სკოლის ექთანს და სკოლის ექიმს, ასევე, ხარისხის რეესტრზე, EMQ-ზე პასუხისმგებელ პირებს
- თუ თქვენ გსურთ, რომ თქვენი მონაცემები არ შეიტანონ ხარისხის რეესტრში, გთხოვთ, აცნობოთ სკოლის ექთანს
- თუ თქვენ ახლა უარს არ ამბობთ თქვენი მონაცემების შეტანაზე, მაგრამ მომავალში შეიცვლით აზრს, აცნობეთ ამ მისამართზე: Dataskyddsbud@regionostergotland.se
- გაქვთ უფლება, რომ წააშლევინოთ თქვენი ყველა მონაცემი, რაც შეტანილია რეესტრში

- თუ თქვენ ახლა უარს ამბობთ თქვენი მონაცემების შეტანაზე, მაგრამ მომავალში შეიცვლით აზრს, აცნობეთ სკოლის ექთანს.

დამატებითი ინფორმაცია ხარისხის რეესტრის შესახებ შეგიძლიათ ნახოთ მომდევნო გვერდზე, ასევე, ხარისხის რეესტრის საიტზე: www.emq.nu და www.kvalitetsregister.se

რა არის ხარისხის ეროვნული რეესტრი?

ხარისხის ეროვნული რეესტრის არსებობის მიზანია იმ მონაცემების შეკრება, რომელიც გამოყენებული იქნება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მუშაობის გასაუმჯობესებლად და დაავადებების საპროფილაქტიკოდ. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შეუძლიათ თვალი გაადევნონ ბავშვთა ჯანმრთელობის განვითარებას წლების განმავლობაში, ამავე დროს, შეადარონ მუშაობისა და მკურნალობის სხვადასხვა მეთოდები. მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება ბევრმა მიიღოს მონაწილეობა ხარისხის რეესტრის შექმნაში. ეს გაზრდის ამ რეესტრის სანდოობას შედეგებისა და შეფასების მხრივ. შედეგები გამოყენებული იქნება საქმიანობის თანმიმდევრული გაუმჯობესებისთვის და იმისთვის, რომ მივაღწიოთ სამედიცინო მომსახურების თანაბარ სტანდარტებს მთელ შვედეთში.

მონაცემთა რეგისტრაცია

რეესტრში გროვდება მონაცემები პაციენტთა ისტორიებიდან, რომელშიც შედის ჯანმრთელობის გამოკვლევისა და ჯანმრთელობის შესახებ გასაუბრების მონაცემები. თუ გასურთ იცოდეთ, კერძოდ რა მონაცემები ინახება რეესტრში, შეგიძლიათ ნახოთ ჩვენს საიტზე: www.emq.nu. მონაცემები გამოიყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ განვითარდეს და გამყარდეს სამედიცინო მომსახურების ხარისხი, შედგეს სტატისტიკა და გაუმჯობესდეს კვლევა. მონაცემთა გამოყენება შეიძლება ამ სამი მიზნით, ოღონდ კონფიდენციალურობის კანონის გათვალისწინებით.

კონფიდენციალურობა

მონაცემები დაცულია სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის საჯაროობისა და კონფიდენციალურობის კანონით. მონაცემები წარმოდგენილია შეჯამებული სახით და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს თქვენი/ თქვენი შვილის, როგორც კერძო პირის, მონაცემთა იდენტიფიკაცია. მონაცემთა გამოყენება კვლევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ ეთიკური შეფასების საბჭოს და პერსონალურ მონაცემებზე მთავარი პასუხისმგებელი პირის ნებართვით.

უსაფრთხოება

თქვენი/თქვენი შვილის მონაცემები დაცულია უკანონო წვდომისგან. არსებობს გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ მონაცემებზე წვდომა ჰქონდეს მხოლოდ მას, ვისთვისაც ეს აუცილებელია. ტარდება სისტემატური კონტროლი, რაც უზრუნველყოფს, რომ არაუფლებამოსილი პირები ვერ გაეცნობიან მონაცემებს. ამავე დროს, პაროლით სისტემაში შესვლა ნდება უსაფრთხოების დაცვით. მონაცემები დაშიფრულია დაცვის მიზნით.

წვდომა

ექიმს ან ექთანს შეუძლიათ გაეცნონ მხოლოდ იმ მონაცემებს, რაც თვითონ შეაქვთ ხარისხის რეესტრში. სხვა ექთნებს ან ექიმებს ამ მასალაზე წვდომა არა აქვთ. როგორც რეესტრზე პასუხისმგებელი პირს, პერსონალურ მონაცემებზე ცენტრალურად მომუშავე უფლებამოსილი პირს შეუძლია გაეცნოს ბავშვის მონაცემებს, რომ შეამოწმოს, თუ რამდენად სწორია მონაცემები.

გაცხრილვა

ის მონაცემები, რომელიც ხარისხის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის საჭირო აღარ არის, რეესტრიდან იშლება. ზოგ რეესტრში შეიძლება საარქივო დაწესებულებამ გადაწყვიტოს მონაცემების შენახვა ისტორიული, სტატისტიკური ან სამეცნიერო მიზნით.

უფლებები

ხარისხის რეესტრში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და გავლენას არ მოახდენს იმ მომსახურებაზე და სამედიცინო დახმარებაზე, რაც თქვენ/თქვენს ბავშვს უნდა გაუწიოს სკოლის ექთანმა ან სკოლის ექიმმა. ამ ინფორმაციის გაცნობის მერე, თუ არ გსურთ, რომ თქვენი ბავშვის მონაცემების რეგისტრაცია მოხდეს, გთხოვთ აცნობოთ სკოლის ექთანს. თუ მოგვიანებით გადაწყვეტავთ, რომ თქვენი ბავშვის მონაცემები არ უნდა იყოს რეესტრში, გთხოვთ აცნობოთ ამ მისამართზე: Dataskyddsbud@regionostergotland.se ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი გადაწყვეტილება და მოითხოვოთ, რომ თქვენი ბავშვის მონაცემები წაიშალოს ხარისხის რეესტრიდან, ან შეგიძლიათ მოითხოვოთ მონაცემების შეზღუდვა. გაქვთ უფლება გაიგოთ, ვის ჰქონდა წვდომა თქვენი ბავშვის მონაცემებზე. ასევე, უფლება გაქვთ, რომ წელიწადში ერთხელ უფასოდ გაეცნოთ, თუ რა მონაცემებია შეტანილი რეესტრში თქვენი ბავშვის შესახებ (ე. წ. ამონაწერი რეესტრიდან). ასეთი თხოვნა უნდა იყოს წერილობით და თქვენი ხელმოწერით უნდა გააგზავნოთ ამ მისამართზე: [Data-skyddsbud@regionostergotland.se](mailto:Dataskyddsbud@regionostergotland.se) გაქვთ უფლება მოითხოვოთ ზიანის ანაზღაურება, თუ თქვენი ბავშვის მონაცემები გამოყენებული იქნა კომპიუტერული დაცვის დადგენილების ან პაციენტთა მონაცემების კანონის დარღვევით. უფლება გაქვთ, რომ სარჩელით მიმართოთ საზედამხედველო ორგანოს.

პასუხისმგებლობა პიროვნული მონაცემებისთვის

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა ხარისხის ეროვნული რეესტრში პიროვნულ მონაცემებზე ცენტრალურად პასუხისმგებელი დაწესებულება არის რეგიონი ოსტერგოტლანდის რეგიონული სამმართველო. სამედიცინო სამსახური პასუხისმგებელია თქვენი ბავშვის პიროვნული მონაცემებზე, როდესაც ხდება ბავშვის ჯანმრთელობის გამოკვლევა და მონაცემების გადაცემა ხარისხის რეესტრში EMQ.

ხარისხის რეესტრის (EMQ) საკონტაქტო მონაცემები

Dataskyddsbud@regionostergotland.se